თარგმანი

ოტო ბაუერი (1881-1938) - ცნობილი ავსტრიელი პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი, ავსტრო-მარქსიზმის აღიარებული თეორეტიკოსი. მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაშრომია **„ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“** (ვენა, 1908), რომელიც შემდეგ რამდენიმე ენაზე ითარგმნა და არაერთხელ გამოიცა. წარმოგიდგენთ ფრაგმენტს ამ ნაშრომიდან, სადაც საუბარია ერის ცნების განსაზღვრის შესახებ.

ოტო ბაუერი. ერის ცნება

შეგვიძლია დავიწყოთ ზოგადი დასკვნების გამოტანა იმ ემპირიული ფაქტებიდან, რომელიც ჩვენს წინაშეა და იმის განსაზღვრა, თუ რა არის ერი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანია. კვლევის დასაწისშივე განვიხილეთ ერი, როგორც ხასიათის შედარებითი ერთობა. ახლა შეგვიძლია უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ხასიათის შედარებითი ერთობის არსი.

ნაშრომის დასაწყისშივე ჩვენ განვსაზღვრეთ ეროვნული ხსიათი, როგორც ერისათვის დამახასიათებელი ფიზიკური და ინტელექტუალური მახასიათებლების მთლიანობა, რომელიც აერთიანებს მის წევრებს და განასხვავებს მათ სხვა ერის წევრებისგან. თუმცა, ამ განმასხვავებულ მახასიათებლებს არავითარ შემთხვევაში არ აქვთ თანაბარი მნიშვნელობა.

ნების სხვადასხვაგვარი განსაზღვრება უდაოდ ეროვნული ხასიათის ნაწილია. ნება გამოხატავს საკუთარ თავს აღქმის ყოველ პროცესში, რომელიც მოვლენების მასიდან ირჩევს მხოლოდ გარკვეულ ფენომენებს და აცნობიერებს მხოლოდ მათ. თუ გერმანელი და ინგლისელი ერთი და იგივე მოგზაურობაში იმყოფებიან, ისინი სამშობლოში დაბრუნდებიან განსხვავებული შთაბეჭდილებებით. თუ გერმანელი და ინგლისელი მეცნიერები ირჩევენ კვლევის იგივე

ობიექტს, მათი საკვლევი მეთოდები და კვლევის შედეგები სრულიად განსხვავებული იქნება. ნება განსაკუთრებით კარგად გამოიხატება გადაწყვეტილების მიღების პროცესში: ფაქტი, რომ გერმანელი და ინგლისელი განსხვავებულად მოქმედებენ ერთნაირ გარემო პირობებში, განსხვავებულად უდგებიან ერთსა და იმავე საქმეს, განსხვავებულ სიამოვნებას ირჩევენ ტკბობის პროცესში, სხვადასხვა ცხოვრების წესს ანიჭებენ უპირატესობას და იკმაყოფილებენ განსხვავებულ მოთხოვნილებებს, როდესაც ისინი კეთილდღეობის და ეკონომიკური განვითარების ერთნაირ დონეზე არიან - განმსაზღვრელია ეროვნული ხასიათის არსის.

უეჭველი ფაქტია, რომ სხვადასხვა ერებს აქვთ გამოხატვის განსხვავებული კოდები: სამართლიანობის და უსამართლობის განსხვავებული ცნებები, განსხვავებული შეხედულებები ზნეობრივზე და უზნეოზე, წესიერზე და არაწესიერზე, ლამაზზე და შეუხედავზე, სხვადასხვა ტიპის რელიგია და მეცნიერება. ამის მიუხედავად, ცოდნის განსხვავებული თვალსაზრისები არ არის იგივე, რაც ნების განსხვავება... ყველა ინგლისელის განათლება განსხვავებულია გერმანელის განათლებისგან, რადგან ის სწავლობდა განსხვავებულ რაღაცებს და ექვემდებარება განსხვავებულ კულტურულ გავლენას, მისი რეაქცია იგივე სტიმულებზე განსხვავდება გერმანელისგან. ურთიერთობა წარმოდგენის სხვადასხვა კოდების ფლობას და განსხვავებული ორიენტაციის ნებას შორის არ არის თანაბარი სტატუსის, არამედ ესაა მიზეზი და შედეგი.

იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკური მახასიათებლების შესახებაც. თავის ქალის განსხვავებული სტრუქტურა შეიძლება გახდეს ანთროპოლოგების ინტერესის საგანი, მაგრამ ისტორიკოსისათვის, სოციალური თეორეტიკოსისათვის, პოლიტიკოსისათვის ის არ არის ინტერესის საგანი, თუ ისინი არ ვარაუდობენ, რომ განსხვავებულ ფიზიკურ ტიპებს თან ახლავს განსხვავებული ფსიქოლოგიური მახასიათებლები. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ განსხვავებას

ფიზიკურ აღნაგობაში აგრეთვე თან ახლავს განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება იგივე გარემო პირობებში ან განსხვავება ცოდნის შეძენის უნარში და შეძენილი ცოდნის ტიპში, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს განსხვავებულ გადაწყვეტილებებს, განსხვავებულ ნებას. თუნდაც, ანტი-სემიტი გულგრილი დარჩებოდა ებრაული ცხვირის მიმართ, თუ ის არ იქნებოდა იმ მოსაზრებაზე, რომ ებრაელის ფიზიკური ტიპი ყოველთვის შერწყმულია კონკრეტულ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან...

მივდივართ ეროვნული ხასიათის უფრო ვიწრო კონცეფციამდე, რომელიც არ მიემართება ყველა ფიზიკურ და ინტელექტუალურ მახასიათებლებს, რომელიც ახასიათებს ერს, არამედ მხოლოდ ნების განსხვავებულ ორიენტაციებს, ფაქტს, რომ იგივე სტიმული წარმოქმნის განსხვავებულ რეაქციას, ერთი და იგივე გარემოებები იწვევს განსხვავებულ გადაწყვეტილებებს. განსხვავება ნების ორიენტაციაში განისაზღვრება ერების შეძენილი წარმოდგენებით ან ფიზიკური თავისებურებებით, რომლებიც კულტივირებულია ერებში არსებობისთვის ბრძოლის განმავლობაში.

ჩვენ ვიკვლიეთ თუ როგორ ვითარდება ასეთი ხასიათის ერთობა და მივედით დასკვნამდე, რომ ხასიათის იდენტობა საბოლოო ჯამში იგივე ეფექტური მიზეზების შედეგია. ამ პროცესში მივედით განსაზღვრებამდე: ერი, როგორც ბედის ერთობა. ახლა აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს ბედის ერთობის ცნება. ერთობის ცნება არ გულისხმობს უბრალოდ მსგავსებას. მაგალითად: გერმანიამ გაიარა კაპიტალისტური განვითარება მეცხრამეტე საუკუნეში, ისევე როგორც ინგლისმა. ძალები, რომლებიც ფუნდამენტურად მოქმედებდა ხალხის ხასიათზე იყო ერთნაირი ორივე ქვეყანაში. მაგრამ გერმანელები ამით არ გახდნენ ინგლისელები. ამრიგად, ბედის ერთობა არ გულისხმობს იმავე ბედის მორჩილებას და მასზე დამოკიდებულებას, მაგრამ აქ იგულისხმება, იმავე ბედის საერთო გამოცდილება მუდმივი ურთიერთობის და უწყვეტი ურ-

თიერთქმედების კონტექსტში. ორივემ, ინგლისელებმა და გერმანელებმა, განიცადეს კაპიტალისტური განვითარება, მაგრამ სხვადასხვა დროს და ადგილას ერთმანეთთან ბუნდოვანი და არამყარი ურთიერთობის კონტექსტში. ამრიგად, იმავე მამოძრავებელმა ძალებმა შეიძლება ისინი უფრო დაამსგავსა ერთმანეთს, ვიდრე წარსულ შემთხვევაში, მაგრამ ეს ძალები ვერასდროს გახდიან მათ ერთ ხალხად. ერს არ ქმნის ბედის მსგავსება, არამედ მხოლოდ საერთო გამოცდილება და ბედის ტანჯვა, ბედის ერთობით დაკავშირებული საზოგადოებაა ერი. კანტის მიხედვით, ერთობა ნიშნავს *„საერთო ხასიათის ორხრივ ურთიერთქმედებას“.* მხოლოდ ზოგადი საერთო ხასიათის ორმხრივი ურთიერთქმედების კონტექსტში ბედის გამოცდილება და მუდმივი, თანაზიარი ურთიერთობა ქმნის ერს.

ერი არ არის ბედის მსგავსების შედეგი, ის ჩნდება და არსებობს მხოლოდ ბედის ერთობაში, მუდმივი ურთიერთქმედებით მათ შორის, ვინც იზიარებს ამ ბედს, ეს განასხვავებს ერს ყველა სხვა სახის საზოგადოებრივი კავშირისგან. მაგალითად, განვიხილოთ კლასზე დაფუძნებული საზოგადოების ხასიათი. სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარები ავლენენ იგივე მახასიათებლებს. ყველა განსხვავების მიუხედავად, იმავე კლასობრივმა ვითარებამ დაასვა დაღი გერმანელი და ინგლისელი, ფრანგი და რუსი, ამერიკელი და ავსტრალიელი მუშების ხასიათს, მათ აქვთ იგივე თვისებები, იგივე მებრძოლი ხასიათი, იგივე რევოლუციური დამოკიდებულება, იგივე კლასობრივი მორალი, იგივე პოლიტიკური მისწრაფებები. რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება ბედის მსგავსებას, რომელმაც შექმნა საზოგადოების ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს ინტერაქციის შედეგად ჩამოყალიბებული ურთიერთობები გერმანელ და ინგლისელ მუშებს შორის, ეს ურთიერთობები უფრო სუსტი და უმნიშვნელოა, ვიდრე ის ურთიერთობები, რომლებიც აკავშირებს ინგლისელ მუშას ინგლისელ ბურჟუასთან. ეს ურთიერთობები ყალიბდება იმ ფაქტით, რომ ორივე მათგანი ცხოვრობს

ერთ ქალაქში, რომ ორივე მათგანი კითხულობს იგივე აფიშებს და გაზეთებს, მონაწილეობას იღებს იგივე პოლიტიკურ და სპორტულ ღონისძიებებში, განსაკუთრებულ შემთხვევებში ისინი საუბრობენ ერთმანეთთან, ან სულ მცირე, საუბრობენ მრავალ შუამავლებთან კაპიტალისტებს და მუშებს შორის. ენა არის ურთიერთქმედების ინსტრუმენტი. უფრო მეტი კავშირი რომ არსებობდეს ინგლისელ და გერმანელ მუშებს შორის, ვიდრე ინგლისელ ბურჟუას და ინგლისელ მუშებს შორის, მაშინ გერმანელ მუშას და ინგლისელ მუშას ექნებოდათ საერთო ენა და არა ინგლისელ ბურჟუას და ინგლისელ მუშას. ერის წევრებს შორის არსებობს ურთიერთქმედების, ურთიერთკავშირის ერთობა, რაც არის მუდმივი და საერთო ეფექტი მათ შორის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ინტერაქციისა, ამით განსხვავდება ერი კლასისგან...

მაშასადამე, ერი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ხასიათის ერთობა, რომელიც განვითარდა არა ბედის მსგავსებით, არამედ ბედის ერთობით. ეს ფაქტი შეიცავს ერისთვის ენის მნიშვნელობასაც. მე ვქმნი საერთო ენას იმ პირებთან ერთად, ვისთანაც ყველაზე ახლო ურთიერთობა მაკავშირებს და მე ყველაზე მჭიდროდ ვურთიერთობ ამ პირებთან, ვისთანაც ვიზიარებ საერთო ენას.

ჩვენ გავეცანით ორ საშუალებას, რაც იწვევს ეფექტურ პირობებს ადამიანთა არსებობისთვის ბრძოლაში, რაც აყალიბებს ინდივიდებს ეროვნულ საზოგადოებად ბედის ერთობაში. არსებობს საგვარეულო ან სამემკვიდრეო პირობები, რომლებიც თვისებრივად განსაზღვრავს იმ ჩანასახოვან პლაზმას, რომელიც აკავშირებს თაობებს. კითხვა, თუ რომელი მახასიათებლები გადაეცემა მომავალ თაობას და რომელი განადგურდება ბუნებრივი გადარჩევის გზით. ამრიგად, ერი აქ წარმოგვიდგება, როგორც მემკვიდრეობით წარმოშობილი ერთობა. როგორც ხალხი მას უწოდებს: ეს არის სისხლის ერთობა, მეცნიერებისთვის კი ეს არის გაერთიანება ჩანასახოვანი პლაზმის მეშვეობით. ამ ყველაფრის მიუხედავად, ერის წევრები

საერთო წარმომავლობით ერთად რჩებიან, მხოლოდ იქამდე, სანამ ისინი რჩებიან საზოგადოებად, სანამ ისინი ინარჩუნებენ საკუთარ სისხლს ჯგუფს შიგნით ქორწინებებით. თუ ერის წევრებს შორის თაობათა მსგავსი კავშირი დარღვეულია, მაშინვე ვითარდება ახალი ტენდენცია და იქმნება განსხვავებული ხასიათის ერთობა ადრე არსებული გაერთიანებული ხალხისგან. ერის ხანგრძლივი არსებობა, როგორც ბუნებრივი ერთობის, მოითხოვს არა მხოლოდ სისხლით კავშირს საერთო წარმოშობის სახით, არამედ, ასევე, საზოგადოების შენარჩუნებას ახლო ნათესავებს შორის უწყვეტი შერწყმის გზით.

ამის მიუხედავად, ინდივიდის ხასიათი არასდროს არის უბრალო ჯამი მემკვიდრეობით მიღებული მახასიათებლებისა. მას ასევე განსაზღვრავს კულტურა, რომელიც გადმოცემულია და გავლენას ახდენს ინდივიდზე: განათლებით, რომელსაც ის იღებს, კანონით, რომელსაც ის ექვემდებარება, წეს-ჩვეულებებით, რომლის მიხედვითაც ცხოვრობს, კონცეფციებით ღმერთის და სამყაროს, ზნეობისა და უზნეობის, ლამაზის და შეუხედავის შესახებ, რომელიც მას გადაეცემა რელიგიით, მეცნიერებით, ხელოვნებით და პოლიტიკური შეხედულებებით, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ის, რაც განსაზღვრავს ყველა ამ ფენომენს არის მეთოდი, რომლითაც ის მონაწილეობს არსებობისათვის ბრძოლაში, მეთოდი, რომლითაც გარშემორტყმულები არიან მისი თანამემამულეებიც, მეთოდი, რომლითაც ინდივიდი იძენს საარსებო საშუალებებს.

მეორე მთავარი საშუალება, რომლითაც განისაზღვრება ინდივიდის ბრძოლა არსებობისთვის არის: კულტურული ელემენტების ზეპირი გადაცემა. ერი არასდროს არის მხოლოდ ბუნებრივი ერთობა, არამედ კულტურული კავშირიცაა. აქაც, წინა თაობების ბედი განსაზღვრავს ინდივიდს: ბავშვი ექვემდებარება იმ საზოგადოების გავლენას, რომლის ეკონომიკურ და სამართლებრივ გარემოში და ინტელექტუალურ კულტურაშიც ის იბადება. აქაც, მხო-

ლოდ მუდმივად მიმდინარე ურთიერთქმედება ინარჩუნებს ხასიათის ერთობას. ამ ურთიერთქმედების მთავარი ინსტრუმენტია ენა. სწორედ ეს ენაა განათლების, ეკონომიკის და ყველა სახის ინტელექტუალური ინტერაქციის ინსტრუმენტი. კულტურის გავლენის სფერო ვრცელდება მხოლოდ იმ მანძილზე, სადამდეც ვრცელდება ენის საკომუნიკაციო შესაძლებლობები. ურთიერთქმედების არეალი შეზღუდულია ლინგვისტური საზოგადოების ფარგლებით. ინტერაქციული ერთობა და ენა ორმხრივად განაპირობებენ ერთმანეთს: ენა არის ყოველგვარი მჭიდრო ურთიერთქმედების პირობა და ამ მიზეზით ურთიერთქმედების აუცილებლობა წარმოშობს და აწინაურებს საერთო ენას, ისევე, როგორც ამ ურთიერთქმედებით შექნილი ერთობის დაშლას თან ახლავს ენის თანდათანობით დიფერენციაცია. მე, რა თქმა უნდა, შემიძლია უცხო ენის სწავლა ისე, რომ არ გავხდე უცხო ხალხის წევრი, რადგან ეს უცხო ენა ვერასდროს მოახდენს ჩემზე იმ კულტურულ გავლენას, რომლის მატარებელიც ის არის ისე, როგორც ჩემი მშობლიური ენა. კულტურამ, რომლის შუამავალიცაა ჩემი მშობლიური ენა, გავლენა მოახდინა ჩემს ბავშვობაზე, წლებზე, რომელიც უდიდესი ათვისების და მიმღეობის პერიოდია ინდივიდისთვის და თავდაპირველად ჩამოაყალიბა ჩემი ხასიათიც. ყველა შემდგომი შთაბეჭდილება, როდესაც ხდება მათი ასიმილერება, ადაპტირებულია ჩემს უკვე არსებულ ინდივიდუალობასთან. ამას ემატება ისიც, რომ უცხო ენა იშვიათად ხდება ინდივიდის საკუთრება ისეთივე სრული სახით, როგორც მშობლიური ენა და ამ შემთხვევაშიც იკარგება ყველაზე დელიკატური და ღრმა ეფექტები: კულტურით გატაცებულ გერმანელზეც კი მხოლოდ იშვიათად მოქმედებს ინგლისური და ფრანგული ხელოვნების ნიმუშები ისეთი ძალით, როგორც გერმანული ხელოვნების ნიმუშები. წარმოუდგენელია, რომ ერმა შეინარჩუნოს კულტურული ერთობა ენობრივი ერთობის გარეშე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ადამიანთა ინტერაქციისა.

მეორე მხრივ, ენის ერთობა ჯერ კიდევ არ არის ეროვნული ერთიანობის გარანტი...

ბუნებრივი და კულტურული ერთობა შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს. წინაპრების ბედი შეიძლება გახდეს შთამომავლობის მახასიათებელი, ერთის მხრივ, წინაპრების მახასიათებლების მემკვიდრეობით გადმოცემით და მეორე მხრივ, წინაპრების მიერ შემუშავებული კულტურის გადმოცემით. ამის მიუხედავად, არ არის აუცილებელი ეს ორი სახის ერთიანობა ერთმანეთს ემთხვეოდეს: ე. წ. ბუნებრივი ერთობა აერთიანებს მხოლოდ საერთო წარმოშობის ინდივიდებს, როდესაც კულტურული ერთობა აკავშირებს ყველას, ვინც მუდმივი ურთიერთქმედების პროცესში ექვემდებარება საერთო კულტურულ გავლენას. რაც უფრო ძლიერია კულტურის გავლენა, მით მეტად აითვისებს ინდივიდი ხალხის კულტურის მთლიან სიმდიდრეს და განისაზღვრება ამ ხალხის სპეციფიკით; ის მით უფრო სწრაფად გახდება ერის წევრი, რაც მეტად გაიზიარებს ეროვნულ ხასიათს, იმის მიუხედავად, რომ ის არ არის ერის კუთვნილება ბუნებრივი ერთობის თვალსაზრისით. ასე, რომ ერის წევრობა ცნობიერი და შეგნებული არჩევანია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოშობის ერთობასთან გვაქვს საქმე, რომელიც დაბადებიდანვე განსაზღვრულია. როგორც თავად შამისო ამბობდა: *„ენის, ხელოვნების, მეცნიერების და რელიგიის გამო, მე გავხდი გერმანელი“.*[1]

იყოფა თუ არა კაცობრიობა ერებად ისე, რომ ყოველი ინდივიდი ეკუთვნის ერთ ერს და არა ერთზე მეტს ერთდროულად?

[1] ადალბერტ ფონ შამისო (1781-1838) - ცნობილი გერმანელი მწერალი, პოეტი და ბოტანიკოსი. დაიბადა საფრანგეთში, მაგრამ რევოლუციის დროს მისი არისტოკრატიული ოჯახი იძულებული გახდა წასულიყო ემიგრაციაში გერმანიაში. ყველაზე მეტად ცნობილია მოთხრობით „პეტერ შლემილის უცნაური თავგადასავალი“, ეს არის ამბავი კაცზე, რომელმაც საკუთარი ჩრდილი დაკარგა.

უბრალო ფაქტი, რომ ინდივიდებს აქვთ ბუნებრივი კავშირი ორ ერთან წარმოშობის გზით არაფერს ცვლის ერების მკაცრი დიფერენციაციის საკითხში. ხალხი ფართო შერევის პროდუქტია იქ, სადაც ორი ერი ხვდება ერთმანეთს სასაზღვრო რეგიონებში, ამის შედეგად ორივე ერის სისხლი, რომელიც ინდივიდუალურად თითოეული მოსახლის ძარღვებში მიედინება, ხასიათდება განსხვავებული და მრავალფეროვანი პროპორციულობით. ეს ფაქტი, როგორც წესი, არ იწვევს ერების შერწყმას. ამ შემთხვევაში, ასიმილაცია არ ხდება კულტურული ერთობის განსხვავების გამო, რომელიც სისხლის შერევის მიუხედავად მაინც ნათლად ჰყოფს ერებს...

იმ ინდივიდის შემთხვევა, რომელიც თანაბრად/თითქმის თანაბრად მონაწილეობს ორი ან მეტი ერის კულტურაში განსხვავებული მაგალითია. ასეთი ინდივიდები საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება სასაზღვრო რეგიონებში და იმ რეგიონებში, სადაც რამდენიმე ერი არსებობს ერთმანეთის გვერდით. ბავშვობიდან ეს ინდივიდები საუბრობენ ორი ერის ენაზე, მათზე თითქმის თანაბარი ხარისხით მოქმედებს ორი ერის ბედი, კულტურული თავისებურებები. ამის შესაბამისად, ეროვნული ხასიათის თვალსაზრისით, ისინი ხდებიან ორივე ერის წევრები, ან შეიძლება ითქვას, ისინი არიან ინდივიდები, რომლებიც მთლიანად არც ერთ ერს არ ეკუთვნიან. ორი ან მეტი ერის კულტურის გავლენის ქვეშ მყოფი ინდივიდი, რომლის ხასიათზეც თანაბარი ხარისხით გავლენას ახდენს სხვადასხვა ეროვნული კულტურა, უბრალოდ კი არ აერთიანებს ორივე ერის მახასიათებლებს, არამედ მას აქვს განსხვავებული ხასიათი, როგორც ქიმიური კომბინაციის დროს შედეგი ავლენს შერეული ორი ელემენტისგან განსხვავებულ თვისებებს. ეს არის ფუნდამენტური მიზეზი იმისა, რომ ინდივიდი, რომელიც კულტურული თვალსაზრისით რამდენიმე ერის შვილია, არ არის განხილვის პოპულარული მაგალითი, ის მუდმივად ეჭვის ობიექტია და ეროვნული ბრძოლის დროს მოღალატედ და დეზერტი-

რადაც კი მიიჩნევა. კულტურული ელემენტების კომბინაცია ქმნის ახალ ხასიათს, რაც იწვევს „კულტურული ჰიბრიდის“ გამოჩენას, რომელიც ორივე ერისთვის უცხოა, მეტიც, ისეთივე უცხო, როგორც სხვა ერის წევრები. თუმცა არაკეთილგანწყობა კულტურული ჰიბრიდისადმი გასაგებია, მაგრამ ამან არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. ხშირად ეს მაგალითი ვრცელდება იმ ინდივიდებზე, რომლებსაც დიდი ღირებულება და მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მათ კულტურული თვალსაზრისით ორი ან მეტი ერის გავლენა განიცადეს. ჩვენი სწავლულები და ხელოვანები რამდენიმე ერის კულტურული სფეროების გავლენას განიცდიან თითქმის თანაბარი ხარისხით. ისეთ პიროვნებას, როგორიც კარლ მარქსია განსაზღვრავს ოთხი დიდი ერის ისტორია: ებრაელების, გერმანელების, ფრანგების, ინგლისელების - და ეს არის სწორედ ის მიზეზი, რატომაც მისმა ნაშრომმა შეაღწია ჩვენი დროის ყველა დიადი ერის ისტორიაში.

შეიძლება რამდენიმე კულტურის გავლენა არ იყოს ინდივიდუალური ფენომენი და გვქონდეს მასობრივი ფენომენიც. გერმანულმა კულტურამ უდავოდ ფუნდამენტრად განსაზღვრა მთელი ჩეხი ერი. უცხო კულტურის ელემენტების მასიურად მიღება მთელი ერის მიერ არასდროს იწვევს მთლიან უარყოფას იმ განსხვავებებისა, რომელიც ეროვნულ ხასიათებს შორის არსებობს, მაგრამ უმეტესად ამცირებს ამ განსხავებებს. უცხო ელემენტები არასდროს მოქმედებენ ინდივიდებზე იმ ძალით, როგორც ორიგინალი ეროვნული კულტურა: ეს ელემენტები არასდროს არის მიღებული უცვლელად. ექვემდებარებიან რა მოდიფიკაციას სესხების პროცესში, ადაპტირდებიან ეროვნულ კულტურასთან, რომელიც უკვე დამკვიდრებულია.

ფაქტი, რომ არსებობისთვის ბრძოლაში ერის ჩამოყალიბება ორი განსხვავებული საშუალებით ხდება, კერძოდ, ერთი მხრივ, შთამომავლებზე იმ მახასიათებლების გადაცემით, რომელიც გან-

ვითარებულია არსებობისთვის ბრძოლაში და მეორე მხრივ, ადამიანური კულტურული ელემენტების გადაცემით იმ პირებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ენით და ინტერაქციით - არის ის, რაც იძლევა ერის გამოვლინებებს... ბუნებრივი ერთიანობა კულტურული ერთიანობის გარეშე, როგორც რასა, შეიძლება იყოს ანთროპოლოგების ინტერესის სფერო, მაგრამ ის ვერ ჩამოაყალიბებს ერს.

ჩვენმა კვლევამ გვანახა, რომ საერთო კულტურის ეფექტურობა ერის შექმნაში განსხვავებულია საზოგადოების სხვადასხვა ფორმაში. სამი ტიპის კულტურული ეროვნული ერთობის განხილვა შეგვიძლია: პირველი ტიპია უძველესი გერმანელების გვაროვნული კომუნიზმის ეპოქის მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს ერს, სადაც ყველა წევრი ერთმანეთთან არის დაკავშირებული საერთო სისხლით და საერთო კულტურით, რომლებიც მათ წინაპრებისგან მიიღეს. ეს ეროვნული ერთობა რამდენჯერმე შეიძლება დაიშალოს არსებობის მკვიდრ ფორმაზე გადასვლისას. დღეს სხვადასხვა ტომში მემკვიდრეობით მიღებული საერთო კულტურა უფრო განვითარებულ განსხვავებულ ფორმებში გვხვდება. ამრიგად, ერი საკუთარ თავშივე ატარებს საკუთარი დაშლის მარცვალს.

მეორე ტიპს წარმოადგენს ერი, რომლის საზოგადოებაც დაფუძნებულია სოციალურ კლასებს შორის განსხვავებაზე. ამ შემთხვევაში ხალხის მასა უფრო მეტად ექვემდებარება განსხვავებას და დიფერენციაციის პროცესს, რაც ჩვენთვის უკვე ნაცნობი საკითხია. ჯგუფებს შორის სექსუალური ურთიერთობის არარსებობა იწვევს მათ შორის კიდევ უფრო მზარდ ფიზიკურ განსხვავებას. არსებობისათვის ბრძოლის განსხვავებული პირობებისათვის დაქვემდებარება ავითარებს კულტურულ განსხვავებებს, რაც თავის მხრივ იწვევს ხასიათის განსხვავებას... ის, რაც ქმნის ერს აღარ არის მასების სისხლით ნათესაობა და კულტურული ერთიანობა, ეს არის დომინანტური კლასების კულტურული ერთიანობა, რომელიც ამ მასებზე მაღლა დგას და ცხოვრობს მათი სამუშაო ძალის გამო-

ყენებით. ამრიგად, ერი შედგებოდა განათლებული კლასებისგან თანამედროვე ეპოქაში, მაგრამ ფართო მასები, რომელთა შრომაც ინარჩუნებს ერს - გლეხები, ხელოსნები, მუშები - სხვა არაფერია თუ არა ერის დაქირავებული ნაწილი.

მესამე ტიპი წარმოდგენილია მომავლის სოციალისტური საზოგადოების სახით, რომელიც გააერთიანებს წევრს ავტონომიურ ეროვნულ გაერთიანებაში. აქ, აღარ იქნება საერთო წარმომავლობა, არამედ განათლების, სამუშაო ძალების და კულტურული ერთობის მეშვეობით გაერთიანებული ერი. ამ მიზეზით, ერს დაშლა აღარ დაემუქრება. განათლებით და კულტურული პროცესებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობით და სოციალური შრომით დაკავშირებული საზოგადოება არის ეროვნული ერთიანობის გარანტი.

ერი არ არის უცვლელი და მყარი მოცემულობა, არამედ ეს არის განვითარების პროცესი, რომლის არსიც განისაზღვრება იმ პირობებით, რომელშიც ხალხი იბრძვის საარსებო წყაროსთვის. ერი არ ჩნდება იმ პირობებში, როდესაც ხალხი უბრალოდ ეძებს საარსებო წყაროს (შემგროვებლობის პერიოდი). იმის ნაცვლად, რომ აწარმოონ საკუთარი საზრდო ამ პერიოდში უბრალოდ მოიპოვებენ საკუთარ საარსებო საშუალებას მარტივი მითვისების გზით, ცარიელი მიწის დაკავების გზით. ერი ჩნდება იმ სტადიაზე, როცა ადამიანებმა დაიწყეს შრომის გზით ბუნებიდან იმის მიღება, რაც სჭირდებოდათ. თითოეული ერის სპეციფიკა განპირობებულია შრომის წესით, შრომის ინსტრუმენტებით, რომლებსაც ადამიანები იყენებენ; წარმოების ძალებით, რომლებსაც ადამიანები მართავენ; ურთიერთობებით, რომელშიც ადამიანები შედიან წარმოების პროცესში. ყოველი ინდივიდუალური ერი არის ნაწილი კაცობრიობის ბრძოლისა ბუნების წინააღმდეგ, ეს არის უდიდესი ამოცანა, რომლის შესრულების საშუალება მოგვცა კარლ მარქსის ისტორიულმა მეთოდმა.

არც ერთ მომენტში არ დასრულებულა ერის ისტორია. ერის ბედის ცვლილებები სუბიექტია ერის ხასიათისა, რაც თავის მხრივ სხვა არაფერია, თუა არა წარსულის ბედის ნალექი, რომელიც მუდმივად ტრანსფორმირდება. ეს არის ხასიათის ერთობა, რომელიც აკავშირებს იმავე ეპოქის ერის თანამოძმეებს. სხვადასხვა ეპოქის თანამემამულეებს არ აკავშირებს ხასიათის ერთობა. ეს არის უბრალოდ ფაქტი, რომ თაობები ერთმანეთს ენაცვლებიან, გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, ძველი თაობების ბედი განსაზღვრავს შემდგომი თაობების ხასიათს...

მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ გავიგებთ ხასიათის ერთობას, როგორც განვითარებულს ბედის ერთობისგან, შეგვეძლება ხასიათის ერთობის მნიშვნელობის გაგება...

ინდივიდუალური ხასიათი სხვადასხვა ძალების შედეგია: მათ შორის არის არა მხოლოდ ბედის ეროვნული ერთობა, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ინდივიდზე, არამედ, მთელი რიგი განსხვავებული ძალებიც, რომლებიც ასრულებენ საკუთარ როლს ხასიათის წარმოქმნაში. მაგრამ ამ უკანასკნელი ძალების მოქმედება შეზღუდულია ეროვნული ერთობის ბედის გავლენით, რომელსაც შეუძლია მსგავსი ინდივიდუალური მახასიათებლების წარმოქმნა...

თუ ჩვენ გავიგებთ ჩვენს ხასიათში ეროვნულს, როგორც ჩვენში ისტორიულს, ჩვენ ვიქნებით იმ მდგომარეობაში, რომ გავიაზროთ ერი უფრო საფუძვლიანად, როგორც სოციალური ფენომენი, როგორც სოციალიზებული ადამიანების ფენომენი. ინდივიდუალისტებისთვის ადამიანები არიან ატომები, რომლებიც ზედაპირულად არიან შეკავშირებულნი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობით. თუმცა ჩვენთვის ადამიანი არ არის ატომი, არამედ საზოგადოების შედეგი. რობინზონიც კი აგრძელებს ბრძოლას არსებობისათვის იზოლირებულად საკუთარ კუნძულზე და ამის გაკეთება მხოლოდ იმიტომ შეუძლია, რომ ის მემკვიდრეა მისი წინაპრების განათლების, ის ფლობს იმ შესაძლებლობებს, რომ-

ლებიც მისმა საზოგადოებამ განავითარა, ან როგორც მარქსი უწოდებდა მას „სოციალურმა ძალებმა“. ამრიგად, ერი არ წარმოადგენს ჩვენთვის გარკვეული რაოდენობის ინდივიდუალებს, რომლებიც ზედაპირულად არიან შეკრულნი. პირიქით, ერი არსებობს თითოეულ ინდივიდში, როგორც სპეციფიკურობის ელემენტი, როგორც მისი ეროვნება. ეროვნული ხასიათის მახასიათებელი ცხადად ვლინდება მხოლოდ, როგორც პიროვნების ხასიათის თვისება, მაგრამ ის მაინც წარმოებულია საზოგადოების მიერ: ის არის მემკვიდრეობითი მახასიათებლების და გადაცემული კულტურული ელემენტების შედეგი, რაც ერის თითოეული წევრის წინაპრებმა წარმოქმნეს უწყვეტი ურთიერთქმედებით საზოგადოების სხვა წევრებთან, ის თავისთავად სოციალური პროდუქტია. ინდივიდები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერს გაერთიანებულნი არიან იმ ფაქტით, რომ მათზე ზეგავლენას ახდენენ ერთისა და იმავე საზოგადოების ერთი და იგივე მომქმედი ძალები, ერთად მცხოვრებ ადამიანებს არსებობისთვის ბრძოლაში შერჩეული ეფექტები გადაეცემათ ინდივიდების ინდივიდუალური მახასიათებლების სახით, რომელიც იგივე კულტურამ განავითარა არსებობისთვის ბრძოლის კონტექსტში, რის შედეგაც ჩამოყალიბდა მათი ინდივიდუალური მახასიათებლები. ამ მიზეზით და არა რაიმე ფორმალური კონვენციით, ერი სოციალური ფენომენია. ერი არ არის ინდივიდთა ჯამი. უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ თითოეული ინდივიდი ერის პროდუქტია. ფაქტი, რომ თითოეული მათგანი პროდუქტია იგივე საზოგადოებისა აქცევს მათ ერთობად. მახასიათებლები, რომლებიც ცხადად ნაჩვენებია, როგორც ინდივიდის თვისებები, არის სოციალური პროდუქტი და ერის ყველა წევრის შემთხვევაში, იმავე საზოგადოების პროდუქტი, რომელიც აერთიანებს ინდივიდებს, როგორც ერს.

ენა ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია: ბიბლიაში მუშებს არ შეეძლოთ ბაბილონის კოშკის

მშენებლობის გაგრძელება, როდესაც ღმერთმა ისინი დააბნია ენების მეშვეობით. ყველა, ვინც ერთ ენაზე საუბრობს არ ქმნის ერს, მაგრამ ერს არ შეუძლია არსებობა საერთო ენის გარეშე. ამის მიუხედავად ენა სხვა არაფერია, თუ არა „პრიმიტიული შეთანხმება“, რომელიც არსებობს „გარე რეგულირების“ წყალობით. ეს იმას, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ენა გაჩნდა წესდების მეშვეობით, თითქოს რომელიმე ბრძენმა კანონმდებელმა ან სოციალურმა კონტრაქტმა შექმნა ის. თუმცა, მოქმედების თვალსაზრისით ენა დაფუძნებულია მხოლოდ გარე რეგულირებაზე. ფაქტი, რომ ჩვენ კონკრეტულ სიტყვას ვუკავშირებთ ცნებას, ნივთს წარმოვადგენთ კონკრეტული ფონეტიკური კომბინაციის წყალობით, ეფუძნება წმინდა შეთანხმებას. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი წესი, რომელსაც ბავშვი დედისგან სწავლობს. ერი გვაწვდის ნათელ მტკიცებულებას იმ ფაქტისა, რომ საზოგადოება ყველა სოციალური ფენომენის საფუძველია, ანუ ის, რომ ინდივიდის სპეციფიკა იმავე დროს არის საზოგადოებაში გაერთიანებული ყველა სხვა ინდივიდების სპეციფიკაც, მოწმობს იმას, რომ თითოეული ინდივიდის ხასიათი ყალიბდება მუდმივი ურთიერთქმედების პროცესში ყველა სხვა წევრთან და თითოეულის ინდივიდუალური ხასიათი არის პროდუქტი იგივე სოციალური ძალებისა. მაგრამ მხოლოდ გარე რეგულაცია განაპირობებს თანამშრომლობას იმ ინდივიდებს შორის, რომელიც გაერთიანებულია საზოგადოებად, სწორედ ეს ხდის შესაძლებელს, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოება, შეინარჩუნონ ერთობა და შექმნან ახალი კავშირი. გარე რეგულაცია არის სოციალური თანამშრომლობის ფორმა საზოგადოების მიერ გაერთიანებულ ინდივიდებს შორის.

...ერი არ არის მხოლოდ ინდივიდების ჯამი, რომლებიც ურთიერთობენ საერთო ენით. უფრო ხშირად, ინდივიდები თავად არიან ერის პროდუქტები, რადგან მისი ინდივიდუალური ხასიათი ჩნდება და ყალიბდება მხოლოდ სხვა ინდივიდებთან მუდმივი

ურთიერთქმედების კონტექსტში. ამ ურთიერთობამ განსაზღვრა თითოეული ინდივიდის ხასიათი და ამით გააერთიანა ისინი ხასიათის ერთობაში. ერი ცხადად გამოიხატება ცალკეული ინდივიდების ეროვნულობაში. ფაქტია, რომ თითოეული ერის წევრის ხასიათი განისაზღვრება ერის ყველა წევრის ბედით, ბედი კი განიცდება საერთო და მუდმივი ურთიერთქმედების კონტექსტში. ენა არის ამ ურთიერთქმედების საშუალება, უფრო ზუსტად, ის საშუალება, რომელიც ყოველთვის და ყველგან შეუცვლელია ისევე, როგორც გარე რეგულაცია არის არსებითი ფორმა თანამშრომლობის და ინტერაქციის საერთო საზოგადოებაში გაერთიანებულ ინდივიდებს შორის. ყველა, ვინც არ ენდობა საკუთარ თვალებს და იმ მაგალითებს, რომელსაც ყოველდღიურად ხედავენ მრავალფეროვანი ეროვნული ხასიათის დასადასტურებლად, ის თეორიული მოსაზრება მაინც უნდა მიიღონ, რომელიც მათ ასწავლის მიზეზობრივი თვალსაზრისით იმის გაცნობიერებას, რომ სხვადასხვა ბედი, განცდილი საზოგადოების მუდმივი ურთიერთქმედებით, აუცილებლად იწვევს ხასიათის განსხვავებულ ერთობას.

...ნაციონალური ხასიათი სხვა არაფერია, თუ არა პიროვნების ნების ორიენტაციის განსაზღვრა ბედის ერთობის მეშვეობით, რომელსაც თავად ეს ინდივიდ აყალიბებს თანამოძმეებთან ერთად. ჩამოყალიბების შემდეგ ეროვნული ხასიათი ჩნდება, როგორც დამოუკიდებელი ისტორიული ძალა. ეროვნულ ხასიათებს შორის განსხვავება ნიშნავს ნების ორიენტაციას შორის მრავალფეროვნებას. ამრიგად, თითოეული ერი განსხვავებულად მოიქცევა ერთი და იგივე პირობებში... ეროვნული ხასიათი აშკარად განსაზღვრავს ერის ყველა წევრის სურვილებს და ქმედებებს და ეს არ წარმოადგენს საიდუმლოს, მას შემდეგ, რაც ჩვენ ვაღიარებთ, რომ ერის ყველა წევრი არის საკუთარი ერისვე პროდუქტი და რომ ეროვნული ხასიათი სხვა არაფერია, თუ არა ნების კონკრეტული ორიენტაცია, რომელსაც ბედის ერთობა წარმოშობს ერის თითოეულ წევ-

რში, მისი ინდივიდუალური სპეციფიკის ფორმით. უფრო მეტიც, ინდივიდუალური ხასიათი გამოჩნდება დამოუკიდებელ ძალად, როგორც კი ჩვენ გავიგებთ მას, როგორც ერის ისტორიულ ნალექს.

ჩვენ ახლა შეგვიძლია გავიგოთ, რომ ავტონომიური ისტორიული რეალობა ეროვნული ხასიათის სხვა არაფერს მალავს გარდა იმ ფაქტისა, რომ წინაპრების ისტორია, მათი არსებობისთვის ბრძოლის პირობები, წარმოების ძალები, რომლებიც მათ აითვისეს, წარმოების ურთიერთობები, რომლებშიც ისინი შევიდნენ, ასევე, განსაზღვრავს მათი ბუნებრივი და კულტურული შთამომავლების ქცევას. თუ ადრე ვაღიარებდით ბუნებრივ მემკვიდრეობას და კულტურის ელემენტების გადაცემას უბრალო საშუალებებად, რითიც წინა თაობების ბედი განსაზღვრავს მათი შთამომავლების ხასიათს, ახლა თავად ეროვნული ხასიათი ჩანს, როგორც უბრალო საშუალება, რომლითაც წინაპრების ისტორია აგრძელებს გავლენის ქონას შთამომავლების ცხოვრებაზე, მათ აზროვნებაზე, მათ გრძნობებზე, მათ სურვილებსა და მათ ქმედებებზე. ამის მიუხედავად, ეროვნული ხასიათი კარგავს თავის არსებით ნიშანს - იმას, რომ ჩანდეს მუდმივი, განგრძობადი ელემენტი. სინამდვილეში ის არაფერია, თუ არა ისტორიის ნალექი, ეროვნული ხასიათი ყოველ საათში იცვლება, ყოველი ახალი მოვლენისას, რომელსაც ერი განიცდის;...

...თუ ერისთვის დამახასიათებელ ელემეტებზე ვიმსჯელებთ, ხაზი უნდა გავუსვათ საერთო ისტორიას. სწორედ ეს ელემენტი განსაზღვრავს და აწარმოებს ერის სხვა ელემენტებს. საერთო ისტორია, რაც საერთო წარმომავლობას ანიჭებს განსაზღვრულ შინაარსს იმით, რომ სწორედ ისტორია წყვეტს, რომელი თვისებები გადაეცემა მომავალ თაობებს და რომელი განადგურდება. საერთო ისტორია აწარმოებს საერთო ზნე-ჩვეულებას, საერთო კანონებს და საერთო რელიგიას - ჩვენივე ტერმინოლოგიის გამოყენებით - კულტურული ტრადიციის საზოგადოებას. საერთო წარმომავლობა და კულტურა მხოლოდ საერთო ისტორიის მიერ გამოყენებული ინსტრუ-

მენტებია მისი ეფექტის რეალიზებისათვის მის ნამუშევარში, ეს ნამუშევარი კი ეროვნული ხასიათის აგებაა...

ერის სიტემაში შემავალი ელემენტების ჩამონათვალია: საერთო ისტორია, როგორც ეფექტური მიზეზი და საფუძველი; საერთო კულტურა და საერთო წარმომავლობა, როგორც საშუალება, რომლითაც ეს მიზეზი ხდება ოპერატიული; საერთო ენა, როგორც საერთო კულტურის მედიატორი ერთდროულად არის მისი პროდუქტიც და მისი მწარმოებელიც. ჩვენ ახლა შეგვიძლია ამ ელემენტებს შორის ურთიერთობების გაგება. რამაც გამოიწვია დიდი გართულება ერის თეორეტიკოსებს შორის ის ფაქტია, რომ ეს ელემენტები შეიძლება გამოხატული იყოს მრავალფეროვანი კომბინაციებით... საერთო სამართლებრივი ფორმები, რა თქმა უნდა, ხასიათის ერთობის ფორმირების მნიშვნელოვანი საშუალებაა, მაგრამ ხასიათის ერთობა შეიძლება წარმოიშვას და არსებობდეს მათ გარეშეც, იმის გათვალისწინებით, რომ სხვა ელემენტების ეფექტი საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ გააერთიანოს ინდივიდები კულტურულ ერთობად...

...ჩვენ არაერთხელ მიგვითითებია იმ ფაქტზე, რომ ტერიტორიული დაშორება ანგრევს ერის ერთიანობას. ერი ბუნებრივი ერთობის სახით თანდათან ნადგურდება ტერიტორიული გამოყოფით, იმ ფაქტის გამო, რომ არსებობისთვის ბრძოლის სხვადასხვა პირობები აყალიბებენ განსხვავებულ დამახასიათებელ ნიშნებს გეოგრაფიულად დაყოფილი ერის ნაწილებში და ეს განსხვავება არ ანაზღაურდება სისხლის არანაირი შერევით. ერი, როგორც კულტურული ერთობა, ასევე ნადგურდება გეოგრაფიული განცალკევებით, რადგან ერის ტერიტორიულად დაყოფილი ნაწილები არსებობისთვის იბრძვიან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ტერიტორიული დაშორება განსხვავებას იწვევს თავდაპირველ ერთგვაროვან კულტურაშიც, რომელიც დაიყოფა, ერის ნაწილებს შორის ურთიერთკავშირის ნაკლებობის გამო, რამდენიმე განსხვავებულ კულ-

ტურად. ეს აშკარად გამოიხატება ერთიანი ენის სხვადასხვა ენებად დიფერენციაციაშიც, როგორც სუსტი კავშირის შედეგი ტერიტორიულად დაშორებული თავდაპირველი ერთიანი ერის ნაწილებისა. თუ ტერიტორიული განსხვავება იწვევს ერის დაშლას, საერთო საცხოვრებელი სივრცე აუცილებლად წარმოადგენს ერის არსებობის პირობას. ამის მიუხედავად, ეს მართალია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს ბედის ერთობის პირობას.

კულტრული ერთობა, და სავარაუდოდ ბუნებრივი ერთობაც, შეიძლება შენარჩუნდეს გეოგრაფიული განცალკევების მიუხედავად, ეს განცალკევება არ წარმოადგენს დაბრკოლებას ხასიათის ერთობისთვის. ის გერმანელი ამერიკაში, რომელიც რჩება გერმანული კულტურის გავლენის ქვეშ გერმანული წიგნების და გაზეთების მეშვეობით, თუ ბავშვებისთვის გერმანული განათლების მიწოდების მეშვეობით, დარჩება გერმანელად, მიუხედავად ყველანაირი ტერიტორიული დაშორებისა. სტამბის, საფოსტო სისტემის და ტელეგრაფის ეპოქაში, რკინიგზის და ორთქმავლის პირობებში, გეოგრაფიული გათიშვა უფრო ნაკლებად საგანგაშო მდგომარეობაა, ვიდრე ადრეულ ეპოქებში. ამრიგად, საცხოვრებელი არეალი არ არის გააზრებული, როგორც ერის ერთ-ერთი ელემენტი, რადგან მისი უფრო ზუსტი გაგება იქნება საერთო ტერიტორიის გააზრება, როგორც პირობის, რომელიც საჭიროა სხვა ელემენტების მოქმედებისთვის...

ახლა გვაქვს შესაძლებლობა სრულყოფილად განვსაზღვროთ ერის ცნება. ერი არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ბედის ერთობით ხასიათის ერთობაში. ბედის ერთობის ფუნქცია ანსხვავებს ერს სხვა საერთაშორისო კოლექტივების ხასიათისგან, რომლებიც შედგებიან პროფესიის, კლასის და სახელმწიფოს მოქალაქეობის ერთობისგან და ამიტომაც ისინი მეტად დაფუძნებულები არიან მსგავსებაზე და არა ბედის ერთობაზე. ერთობლიობის ეს კონცეფცია განასხვავებს ერს მის შიგნითვე

არსებული შეზღუდული ხასიათის მქონე ერთობებისგან, რომლებიც არასდროს ქმნიან თვითგანსაზღვრულ ბუნებრივ და კულტურულ ერთობებს, მათი მჭიდრო კავშირი ერთან, როგორც მთელთან, ნიშნავს იმას, რომ ისინიც განისაზღვრებიან ერის ბედით. საგვარეულო კომუნიზმის ეპოქაში ერი აშკარად შემოიფარგლებოდა იმ ფაქტით, რომ ის წარმოადგენდა მათ მთლიანობას, ვინც ბალტიის ხალხის მემკვიდრე იყო. სოციალისტურ საზოგადოებაში ერი ხელახლა განისაზღვრება, როგორც ერთიანობა ყველა მათგანის, ვისაც ექნება წვდომა ეროვნულ განათლებაზე, ეროვნული კულტურის ელემენტებზე, რომელთა ხასიათიც ამ კულტურული ელემენტების გავლენით ჩამოყალიბდება, მათი შინაარსი კი ერის ბედით განისაზღვრება. საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია წარმოების საშუალებების კერძო საკუთრებაზე, დომინანტური კლასით - რომელიც წარსულში იყო რაინდთა, ახლა განათლებულ კლასთა - აყალიბებენ ერს, როგორც მათ მთლიანობას, ვისაც ჰქონდა ერთი და იგივე აღზრდა და ერს მიიჩნევენ ისტორიით განსაზღვრულად, აშუალებენ მას საერთო ენით და ეროვნული განათლების სისტემით, სწორედ ეს იწვევს ხასიათის მსგავსების წარმოშობას. სირთულე ახლავს თან ერის დამაკმაყოფილებელი განმარტების პოვნას, ის სირთულე, რომელმაც გამოიწვია ყველა ასეთი წინა მცდელობების მარცხი და ეს ისტორიულადაა განპირობებული. ერის ცნების სწორი დეფინიციის მცდელობისას ყურადღება მახვილდება ჩვენს კლასობრივ საზოგადოებაზე, რომელშიც ძველი, წარმომავლობით მკაცრად შემოფარგლული საზოგადოება დაიშალა ადგილობრივ მასპინძელ, წარმომავლობით ჯგუფებად და ახალ, განვითარებად განათლებულ საზოგადოებად, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ შეძლო ამ მცირე ჯგუფების გაერთიანება ეროვნულ მთლიანობად.

ჩვენი კვლევა ერის შესახებ ავლენს გრანდიოზულ ისტორიულ ფრესკას. დასაწყისში გვაროვნული კომუნიზმის და მომთაბარე სოფლის მეურნეობის ეპოქაში - ჩვენ ვხვდებით ერთიან ერს წარ-

მოშობით დაკავშირებული საგვარეულოს სახით. შემდეგ, ამას მოჰ-ყვება გადასვლა დასახლებულ და მკვიდრ სოფლის მეურნეობაზე, ასევე, კერძო საკუთრების განვითარებაზე, სადაც ჩვენ ვხედავთ ძველი ერის დაყოფას ერთი მხრივ, დომინანტი კლასების კულტურულ ერთობად და მეორე მხრივ, მესაკუთრეებად და დაქირავებულ მუშახელად. მოგვიანებით, განვითარების სოციალური წარმოების კაპიტალისტური ფორის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ ეროვნული კულ-ტურული ერთობის გაფართოებას - მუშა და ექსპლუატირებული კლასები ჯერ კიდევ რჩებიან ერის უბრალო დაქირვებულ მუშა-ხელად, მაგრამ ეროვნული ერთიანობის ტენდენცია გრძელდება, რომლის საფუძველია განათლების ეროვნული სისტემა, რომელიც თანდათან ხდება უფრო ძლიერი, ვიდრე ძველი ერის პარტიკულა-რისტული ტენდენცია, რომელიც დაფუძნებული იყო წარმოშობის ერთობაზე. საბოლოოდ, მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ სოციალურ წარმოებას გახადა კაპიტალისტური სამოსი, გვაქვს ერთიანი ერის რენესანსი, როგორც განათლების, მუშაობის და კულტურის ერ-თობის სახით. ერის განვითარება ასახავს წარმოების საშუალების და საკუთრების ისტორიას...

ერი ავლენს თავს ისტორიულ ფენომენად ორი თვალსაზრი-სით: პირველი, ის არის ისტორიული ფენომენი თავისი მატერი-ალისტური დეტერმინაციის გამო, რადგან ეროვნული ხასიათი აქ-ტიურად ვლინდება ერის თითოეულ წევრში, რაც არის ისტორი-ული განვითარების ნალექი, რადგან ერის ცალკეული წევრის ეროვ-ნულობაში ასახულია ერის ისტორია, რომლის შედეგიც თავად ინ-დივიდია. მეორე, ერი ისტორიული ფენომენია მისი ფორმალური კავშირების გამო, რადგან სხვადასხვა განზომილების სფეროები შეკრული არიან ერთმანეთთან ერის წარმოსაქმნელად განსხვავე-ბული საშუალებებით და სხვადასხვა გზებით ისტორიული განვი-თარების განსხვავებულ ეტაპზე. საზოგადოების ისტორია წყვეტს არა მხოლოდ იმას, თუ ერის წევრების, რომელი კონკრეტული

მახასიათებლები შეადგენენ ეროვნულ ხასიათს, არამედ ფორმასაც, რომელშიც ისტორიული მომქმედი ძალები წარმოქმნიან ხასიათის ერთობას არის ისტორიულად განპირობებული.

...ჩვენ თავად ერს ვშლით პროცესად. ჩვენთვის ისტორია აღარ ასახავს ერთა ბრძოლას. ჩვენთვის ერი თავად არის ისტორიული ბრძოლების ანარეკლი. ერი თვალნათლივ გამოიხატება ეროვნულ ხასიათში, ინდივიდის ეროვნულობაში და ეს სხვა არაფერია, თუა არა ის ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს მას ერის ისტორიით, რაც გამოიხატება ტექნიკის და შრომის პირობების განვითარებით.

წიგნიდან: OTTO BAUER, *"The Question of Nationalities and Social Democracy"*, Minneapolis, 2000, University of Minnesota Press, Minneapolis • London.(გვ. 99-119)

მთარგმნელი: ნინო მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.